ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5998459

ნომერი: AR1907406

თარიღი : 18.06.2022

გაცემის თარიღი : 22.06.2022

გაცნობის თარიღი : 23.06.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეონა სიჭინავა პ/ნ 62004024187
- გულრიფში ს. გულრიფში

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 26 სექტემბრის №4687615 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, შერმადინის ქუჩა, N152–ში , (ს/კ: №01.72.14.042.003, ფართობი: 2500 კვ.მ.) ინდივიდუალური ცალკე საძირკვლის მქონე ერთბინიანი 4 საცხოვრებელი სახლის და 2 ორბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

№ 4840395 ბრძანებით შეტანილი იქნა ცვლილება2019 წლის 26 სექტემბრის №4687615 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებშიკერძოდ: შეიცვალა • განთავსების სქემა. . საპროექტო ობიექტებად დაფიქსირდა : 1 ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი და 6 ერთბინიანი საკუთარი საძირკვლის მქონე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
შემდგომ მიწის ნაკვეთების დაყოფის შედეგად № 5668844 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2019 წლის 26 სექტემბრის #№4687615 ბრძანებაში და ცალკე დარეგისტრირდა თქვენი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი #01.72.14.042.400 ფართობი 316 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #: 882021877981 ; რეგისტრაციის თარიღი 18/10/2021 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882021877981, რეგისტრაციის თარიღი 18/10/2021წ.);
ვინაიდან № 4840395 ბრძანებით დამტკიცებული სქემის შესაბამისად განსაზღვრული იყო თქვენი მიწის ნაკვეთის არეალში ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა(ს/კ 01.72.14.042.398 მიწის ნაკვეთისგან განსხვავებით, რომელზეც თავდაპირველადვე დაგეგმილი იყო ორბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება) სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ორბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სამსახური თვლის რომ, მსგავსი სახით პრეცენდენტის დაშვება შესაძლებელია შემდგომში გახდეს ანალოგიური მოთხოვნების წარმოდგენისა და მსგავსი ფაქტების დამკვიდრების საფუძველი, რაც მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას იქონიებს მიმდებარე ტერიტორიის განვითარებაზე და საფუძველს დაუდებს ამ კონკრეტულ და მიმდებარე ტერიტორიაზე არასისტემური ქაოტური განაშენიანების ტენდენციას, რაც ეწინააღმდეგება ქალაქ თბილისის ქალაქგანვითარების პრინციპებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი AR1907406 განაცხადის მოთხოვნა

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მოზრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.